საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN12

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

05 სექტემბერი 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ჯემალი ისაკაძე,7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9.იზა მაგრაქველიძე;
სხდომას არ ესწრებოდა: რუსუდან კოვზირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში გულადი აბჟანდაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 10 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 9 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშერულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის განცხადება შვებულებაში გასვლის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის განცხადება შვებულებაში გასვლის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ,კომისიის სხდომას გააცნო, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშერულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი, რომლითაც დადგინდება წყლის მიწოდების ტარიფი:ა.) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის-0,40 ლარი, ხოლო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის-1,50 ლარი. ბ.) გაუმრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის ,სულადობის მიხედვით-ერთ სულ მოსახლეზე 1,50 ლარი. წყლის მიწოდების მომსახურეობის აღრიცხვას განახორციელებს ა(ა) იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, იზა მაგრაქველიძემ;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშერულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას დასამტკიცებლად.

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის განცხადება შვებულებაში გასვლის თაობაზე. შვებულების პერიოდში მოვალეობას შეასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გოგბერაშვილი.

აზრი გამოთქვეს: ჯემალ ისაკაძემ, ნინო ჩხიკვაძემ;

გადაწყვიტეს: ვინაიდან საკრებულოს თავმჯდომარის შვებულების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს ბიურო, საკრებულოს რეგლამენტის 39[1] მუხლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის განცხადება გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე თანხობის მისაცემად.

3.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო განცხადება, რომ აპირებს შვებულებაში გასვლას ა/წ 8 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით, 19 სამუშაო დღის ვადით. შვებულების პერიოდში მოვალეობის შესრულება დაეკისრება კომისიის წევრს იზა მაგრაქველიძეს.

აზრი გამოთქვეს: აზრი არავის გამოუთქვავს;

გადაწყვიტეს: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შვებულებაში ყოფნის პერიოდში მისი მოვალეობის შესრულება დაევალოს კომისიის წევრს იზა მაგრაქველიძეს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: